დადგენილება:**დ-47.47222412**
თარიღი:**29/08/2022**

დადგენილება N19

,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ " ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე"

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

,,სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 21 დეკემბრის №47 დადგენილების დანართში (www.matsne.gov.ge; 27/12/2017, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.114.016374) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს დაემატოს „ო" ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„ო) კომისიის თავმჯდომარის არყოფნის, აგრეთვე კომისიის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან მისი, როგორც საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის უფლება-მოვალეობებს ასრულებს კომისიის უხუცესი წევრი".
ბ) ამოღებულ იქნას მე-4 მუხლი.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი